<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ნოდარ დუმბაძის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის პოეტის, ნინო ნეკერიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, ნოდარ დუმბაძის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს პოეტის, ნინო ნეკერიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X=485666 Y=4625925
X=485713 Y=4625919
X=485714 Y=4625901
X=485624 Y=4625843
ნინო ნოვერიძვილის
სახელობის სკვერი
X=485555 Y=4625805
X=485584 Y=4625779

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი:03-031930432
თარიღი: 31/10/2019

ადრესატი:

გიორგი ახვლედიანი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

ბატონო გიორგი,

ა/წ 11 ოქტომბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის სახელზე შემოვიდა მოქალაქე ბექა რამიშვილის (მცხ: თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, II მ/რ, კორპ. 13, ბინა 90 ; პ/ნ: 01012015133) განცხადება №: 19/031929471-03, რომლის თანახმადაც ხელოვანთა სფეროს წარმომადგენლები ითხოვენ ნ. დუმბაძის გამზირზე, კორპუსების 1-4 მიმდებარედ არსებულ უსახელო სკვერს ეწოდოს ახალგაზრდა პოეტის, ნინო ნეკერიშვილის სახელი. (**იხ.დანართი**).

ნინო ნეკერიშვილი გახლდათ პოეტი, პროფესიონალი მთარგმნელი და მოაზროვნე ლიტერატორი. მისი ლექსები შეტანილია უახლესი ქართული პოეზიის ანათოლოგიაში (2009 წ.)კრებულში „ახალგაზრდა პოეტები XXI - 100 ლექსი"; „მერანი"(2010-2011წწ.) კონკურსში „ლიტბუნიობა" მოიპვა მეორე ადგილი და ფულადი ჯილდო ლექსისთვის „ალაზანში ჩაკიდებული ბებრის ცრემლებს". ლექსი ეძღვნება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებსა და პატრიარქის შებრძანებას კონფლიქტის ზონაში. პირველი კრებული პოეტმა გამოსცა 2011 წელს სახელწოდებით „ნაფეხურები". ნინო ნეკერაშვილი თავად დაიბადა და ცხოვრობდა ზ/აღნიშნული სკვერის მიმდებარედ საცხოვრებელ სახლში.

გთხოვთ, განიხილოთ ბექა რამიშვილის განცხადება, გაითვალისწინოთ ზ/აღნიშნული გარემოებები და მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება.

(იხ. დანართი 5 ფურცლად)

პატივისცემით

ქეთევან ჯოხაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-მაჟორიტარი წევრი

ნინო ნეკერაძე

ასოცირებული პროფესორი

1984-2018

ბიოგრაფიული ცნობები

ნინო ნეკერაძე დაიბადა 1984 წლის 5 სექტემბერს ნაომაღლევში. დამთავრებულია ზუგდიდი ინუ ფაკულტეტზე ლექციის წელა სოციალ მეცნიერებათა დარგობრივ ინტეგრირებულ ლეონიდეში "ფილოლოგიაში". წლების აქტიურად ეწეოდა ლექციები და წერილებს ხელოვნებაზე(წერილები ჩხეტიანზე), ხელოვნ ბაზე ქართული მწერლობა და ეროვნული ლიტ ხელოვნება". ქართული ენიდან ინფორმაციულ 2009 „ეროვნ ენიდან" (2010-2011)[illegible] ... წლის 23 სექტემბერს ... ლექციათა „ალეხანდრიელ ... ხელოვნებს და ... ნაციონალ ... 2011 წლის ... ...

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-031931011**
თარიღი: **06/11/2019**
პინი: **3965**

ადრესატი: ბექა რამიშვილი
პირადი ნომერი: 01012015133
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, II მიკრო/რაიონი, კორპუსი 13, ბინა 90

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი 2019 წლის 31 ოქტომბრის საქმე #19/031929471-03, რომლითაც ითხოვდით ნოდარ დუმბაძის გამზირზე, 1-4 კორპუსების მიმდებარედ არსებულ უსახელო სკვერს მინიჭებოდა პოეტ ნინო ნეკერიშვილის სახელი.

მოგმართავთ თხოვნით დამატებით მასალად წარმოადგინოთ მწერალთა შემოქმედებითი კავშირის რეკომენდაცია.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ საქართველოს მწერალთა
შემოქმედებითი კავშირი

CREATIVE UNION OF
GEORGIAN WRITERS

საქართველო, თბილისი, მწერალთა სახახლე, ივ. მაჩაბლის №13
13 Iv. Machabeli st. The Writer's Palace, Tbilisi, Georgia
ტელ. Tel. 599-98-50-57
writersunionofgeorgia@gmail.com

№ 71/01

„11" 11 2019 წ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ თ. ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ!

საქართველოს მწერალთა კავშირი მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, რათა თბილისში, ნოდარ დუმბაძის გამზირზე, 1-4 კორპუსების მიმდებარედ ახლად გახსნილ უსახელო სკვერს მიენიჭოს პოეტ ნინო ნეკერიშვილის სახელი.

სამწუხაროდ, ნინო ნეკერიშვილზე უკვე წარსულში გვიხდება საუბარი. სულ რაღაც ერთი წელია, რაც ეს უნიჭიერესი და უნატიფესი პოეტი ქალბატონი სულეთის ბინადარი გახდა.

არადა, შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ ნინო ნეკერიშვილი ქართული ახალგაზრდული პოეზიის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი და საყურადღებო წარმომადგენელი იყო. წერდა სიყვარულზე და ამ სიყვარულში აქსოვდა თავის დამოკიდებულებას სამშობლოსადმი, მშობელი ერისადმი, ყველა იმ სიკეთეებისადმი, რამაც დღევანდლამდე მოიყვანა ივერია მიწა.

გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ გაიზიარებთ ჩვენს მოსაზრებას.

პატივისცემით,

საქართველოს მწერალთა კავშირის
თავმჯდომარე,
თბილისის საპატიო მოქალაქე თემურ ჩალაბაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **ბ/4836615**
თარიღი: **20/02/2020**
პინი: **####**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ გიორგი ებანოიძეს

გაცნობებთ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ქეთევან ჯოხაძის 2019 წლის 21 ოქტომბრის საქმე #19/031929471-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე ბექა რამიშვილის კოლექტიური განცხადების საფუძველზე ითხოვს გლდანის რაიონში, მუხიანის დასახლებაში მდებარე უსახელო სკვერისთვის ნინო ნეკერიშვილის სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ნინო ნეკერიშვილის სახელობის სკვერის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 6 (ექვსი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
სსიპ ურბანული განვითარების სამსახური

წერილის ნომერი: **67-01200732950**
თარიღი: **13/03/2020**
პინი: **1658**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 24.02.2020 წლის #03-032005561 (24.02.2020წ. #14-01200552705-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 272 22 22, ფაქსი:(+995 32) 237 82 24

ნინო ნეკერიშვილი

(1984-2018)

პოეტი და მთარმნელი

დაიბადა 1984 წლის 5 სექტემბერს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

საზოგადობის დიდი ნაწილი მას „ნინა სტარკ ნეკერის“ ფსევდონიმით იცნობდა. მისი ცნობილი თარგმანებია: ჯონ ბოინის „ბიჭი ზოლიან პიჟამაში“, კასანდრა კლერის „მექანიკური პრინცესა“ და „ზეციური ცეცხლის ქალაქი“... ნინო ნეკერიშვილის ლექსები შესულია რამდენიმე პოეტურ კრებულში.

გარდაიცვალა 2018 ელს.